ბასკების სამშობლო და თავისუფლება (ETA)

GCSD TRC

თბილისი 2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორი: ბაია კაპანაძე
კვლევის ხელმძღვანელი: მარიამ თოხაძე
რედაქტორები: ქეთევან სართანია, გიორგი გოგუაძე
დოკუმენტის დიზაინი: თამუნა არბოლიშვილი

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

მოვლენების ქრონოლოგია

1937 - ბასკების მხარე ოკუპირებულია გენერალ ფრანცისკო ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის მიერ.

1959 - ახლაგაზრდა ბასკებმა შექმნეს ეტა - ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურის რეჟიმის საპასუხოდ, დამოუკიდებელი ბასკური სახელმწიფოს გაერთიანების მიზნით.

1968 - ეტამ განახორციელა პირველი ცნობილი მკვლელობა - დახვრიტეს მელიტო მანზანასი (Meliton Manzanas), საიდუმლო პოლიციის უფროსი ბასკეთის ქალაქ სან სებასტიანში.

1973 - ფრანკოს პრემიერ მინისტრისა და მემკვიდრის, ადმირალ ლუის კარერო ბლანკოს (Luis Carrero Blanco) მკვლელობა.

1975 - ესპანეთი ხდება დემოკრატია, მაგრამ ეტა აგრძელებს ძალადობრივ კამპანიას.

1978 - ეტა-ს პოლიტიკური ფრთა ჰერრი ბატასუნა (Herri Batasuna) დაარსდა.

1980 - ყველაზე სისხლიანი წელი - ეტას ტერორისტულმა კამპანიამ 118 ადამიანი იმსხვერპლა.

1986- მადრიდში თორმეტი სამოქალაქო მცველი დაიღუპა და 50 დაიჭრა. ხუან მანუელ სოუარსს, მოგვიანებით 1,401 წლით პატიმრობა მიესაჯა მკვლელობისთვის.

1987 - ივნისში, ბარსელონას სუპერმარკეტში ბომბის აფეთქების შედეგად ოცდაერთი ადამიანი დაიღუპა. ზარაგოზაში მდებარე ყაზარმაში, მანქანებში დამონტაჟებულმა ბომბმა 11 ადამიანი მოკლავ, მათ შორის, 6 ბავშვი.

1995 - ეტას წევრები ცდილობენ მოკლან ოპოზიციური სახალხო პარტიის ლიდერი, ხოსე მარია აზნარი, მანქანაში ბომბის დამონტაჟებით. ის გადარჩება და 1996 წლის მარტში პრემიერ მინისტრი გახდება.

1997 - ეტა იტაცებს და კლავს ბასკების სახალხო პარტიის წევრ და საკრებულოს მრჩეველს მიგელ ანხელ ბლანკოს.

1997 - ჰერი ბატასუნას (პოლიტიკური კავშირი) 23 ლიდერს ეტა-სთან თანამშრომლობის გამო შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

1998 - ეტა აკეთებს პირველ განცხადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი კამპანია.

1999 - ეტა-მ 14 თვიანი ცეცხლის შეწყვეტის პირობა დაარღვია და მიზეზად ესპანეთის მთავრობასთან მოლაარაკებებში პროგრესის ნაკლებობა დაასახელა.
2003 - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბატასუნა (ბასკების ნაციონალისტური პარტია) ტერორისტულ ჯგუფად გამოაცხადა. მოგვიანებით - ევროკავშირიმაც (ერთი თვის შემდეგ).

2003 - ორი ბომბი აფეთქდა ალიკანტესა და ბენიდორმის ქალაქებში, სადაც 13-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. ასევე, დაბომბა სანტანდერის აეროპორტი.

2006 - ეტა აცხადებს მუდმივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მარტში. ზაპატერო პარლამენტს ეუბნება, რომ ის მშვიდობიან მოლაპარაკებებს შეეცდება. დეკემბერში, მანქანაში ბომბი აფეთქდა და მადრიდის აეროპორტში დაიღუპა ორი ეკვადორელი. ზაპატერო წყვეტს მშვიდობიან პროცესს.

2007 - ზაპატერო უარყოფს ბატასუნას ლიდერის, არნალდო ოტეჯის წინადადებას, რომ დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებები ესპანეთის მხრიდან დიდი დათმობების მოთხოვნის გარეშე. აპრილში, ეტა აცხადებს, რომ მზად არის კომპრომისზე წასასვლელად, თუ ესპანეთი შეაჩერებს სამხედროების დაპატიმრებას ბასკეთის ქვეყანაში.

2008 - ზაპატერო გამორიცხავს ეტასთან სამშვიდობო მოლაპარაკების ნებისმიერ შესაძლებლობას და ამბობს, რომ ერთადერთი ვარიანტი - ცალმხრივი ჩაბარებაა. ისაიას კარასკო, სოციალისტური პარტიის ყოფილი მრჩეველი მოკლეს მონდრაგონში. ნოემბერში, ეტა იღებს პასუხისმგებლობას 10 დაბომბვისთვის და ამბობს, რომ იგი განახორციელებს კამპანიას ბასკეთის დამოუკიდებლობისთვის.

2010 - ნორმანდიაში დააპატიმრეს იბონ გოგესკოეცეა (Ibon Gogeascoechea), ეტა-ს უკანასკნელი ლიდერი, რომელიც გაქცეული იყო 1997 წელს მეფე ხუან კარლოს მკვლელობის მცდელობისთვის.

2011 - ეტა აცხადებს მუდმივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ იანვარში. მთავრობა უარყოფს მას და მოითხოვს, რომ ეტა-მ, საბოლოდ, უარი თქვას ძალადობაზე და მის ყველა საქმიანობაზე.

2011 - ოქტომბერში, ეტა აცხადებს ძალადობის "საბოლოო დასრულებას" და გადადის მოლაპარაკებების ფაზაზე საფრანგეთთან და ესპანეთთან, რომლებიც ითხოვენ იარაღის დათმობას. ეტა. ასევე, ახსენებს შესაძლო იარაღის გადაცემას ან დაშლას.

2015 - პარიზში დააპატიმრეს ეგოიზ ურრუტიკოსექსი (Egoitz Urrutikoetxea). საფრანგეთში კი, დააკავეს მოქმედი ლიდერი, მიქელ ირასორზა (Mikel Irastorza)

2017 - 8 აპრილს, ეტა ეფექტიანად ასრულებს შეიარაღებულ კამპანიას და აცხადებს, რომ იგი მთლიანად განიარაღებულია, ხოლო პოლიციას უმხელს იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და საბრძოლო მასალის ადგილმდებარეობის შესახებ -საფრანგეთის ქალაქ ბაიონში. ესპანეთის მთავრობა ეტა-ს ნაბიჯს დადებითად აფასებს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს არასაკმარისია და მოუწოდებს ჯგუფს ოფიციალურად დაითხოვოს წევრები და ბოდიში მოუხადონ თავის მსხვერპლსა და საზოგადოებას.

2018 - 2 მაისს, ეტა ავრცელებს აუდიო შეტყობინებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მან "მთლიანად დაშალა ყველა მისი სტრუქტურა", და რომ ის "აღარ გამოთქვამს პოლიტიკურ პოზიციებს". იმავე თვის ბოლოს, ჯგუფი ბოდიშს იხდის მსხვერპლისა და მათი ახლობლებისთვის მიყენებული ზიანისთვის. ესპანეთი მიესალმება ბოდიშს, მაგრამ ამბობს, რომ მათ დიდი ხნის წინ უნდა მოეხადათ ბოდიში და რომ ბასკები და ესპანელი ხალხი მათ ვერასოდეს აპატიებენ.

აბსტრაქტი

2018 წლის 2 მაისს, 60-წლიანი ბრძოლის შემდეგ, ბასკების ტერორისტულმა ორგანიზაციამ Euskadi Ta Askatasuna (ETA) - ეტა-მ განაცხადა, რომ მიაღწია “ციკლის ბოლოს” და ოფიციალურად დაიშალა (Mahoney, 2018: 916). დაარსების დღიდან ეტა იყო, ერთ-ერთი, ყველაზე აქტიური მეამბოხე-სეპარატისტული ორგანზაცია ევროპაში, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იარსება. 1958 წლიდან ეტა ბასკი ხალხისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებისთვის იბრძოდა. მისი არსებობის პერიოდში ჯგუფმა 2000-ზე მეტი ძალადობრივ-ტერორისტული თავდასხმა განახორციელა, მოკლა გენერალი ფრანცისკო ფრანკოს არჩეული მემკვიდრე და ხელმძღვანელობდა მარიონეტულ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც დაიკავა ადგილები როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ პარლამენტებში (Mahoney, 2018: 916). მიუხედავად ესპანეთის და საფრანგეთის მთავრობების ერთიანი ძალისხმევისა და მათ მიერ განხორციელებული კონტრ-ტერორისტული ოპერაციებისა, ეტა მაინც ახორციელებდა ტერორისტულ ქმედებებს (Alonso, 2016: 2). მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის გამოყენებით ეტა-მ ვერ მიაღწია თავის მთავარ პოლიტიკურ მიზანს - შეექმნა დამოუკიდებელი ბასკური სახელმწიფო, ჯგუფს საშუალება მიეცა წამყვანი პოზიცია დაეკავებინა, როგორც ბასკეთის რადიკალურ სეპარატისტულ მოძრაობაში, ასევე - პოლიტიკური პროცესების მართვაში (Murua, 2016: 5).

შესავალი

ბასკები, უძველესი ევროპული, ეთნიკური ჯგუფია, რომლებიც დასახლებულნი არიან ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. აქ ერთმანეთს ხვდება დასავლეთ პირინეის მთების ფერდობები და კანტაბრიის საზღვაო ზოლი. მათი ტერიტორია ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვარზე მდებარეობს, შესაბამისად, მათ ავტონომიურ გაერთიანებას ბასკების სამშობლოს (Euskadi) უწოდებენ. ისინი ეთნიკურად განასხვავდებიან ესპანელი და ფრანგი ხალხისგან, ფლობენ საკუთარ ენას და აქვთ მათგან განსხვავებლი კულტურული ტრადიციები (Whitfield, 2014: 8).

ისტორიულად, ბასკების მიზანი იყო საკუთარი კულტურის შენარჩუნება და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1959 წელს, თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, ახალგაზრდა აქტივისტებმა დააარსეს Euskadi ta Askatasuna (ETA) “ეუსკადი ტა ასკატასუნა” (შემდეგში ეტა), რომელიც ითარგმნება, როგორც "ბასკების სამშობლო და თავისუფლება". ჯგუფი, თავდაპირველად შეიარაღებულ ბრძოლებს ახორციელებდა ესპანეთის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და იმდროინდელი ესპანეთის დიქტატორის, გენერალ ფრანცისკო ფრანკოს რეჟიმისგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად (Anderson, 2003: 4). ჯგუფის პირველი რევოლუციური გამოხატულება იყო დროშა “ikurrina” - წითელ და მწვანე ფერებში, რომელიც, ასევე, წლების მანძილზე აკრძალული იყო (Molina and Muro, 2017: 22).

დაარსების დღიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ეტა-ს მიერ 4000-მდე განხორციელებულმა ტერაქტმა 800-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ასევე, ათასობით ადამიანი დაშავდა დამოუკიდებელობისათვის ბრძოლაში (Anderson, 2003: 4). ეტა აღიარებულ იქნა, როგორც ტერორისტულ-კრიმინალური ჯგუფი, ესპანეთის ტერიტორიაზე, ხოლო შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ მოიხსენიებოდა, როგორც უცხოური ტერორისტული ორგანიზაცია (Whitfield, 2015: 1).

ჯგუფმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთა: 1989, 1996, 1998, 2006 და 2010 წლებში, თუმცა მათ ისევ განაგრძეს ტერორისტულ ორგანიზაციად არსებობა. 2011 წელს, ეტა–მ განაცხადა "მისი შეიარაღებული საქმიანობის შესახებ საბოლოო შეწყვეტა". ჯგუფმა 2017 წლის 7 აპრილს განაცხადა, რომ მან უარი თქვა ყველა იარაღზე, ასაფეთქებელ ნივთიერებებზე და ოფიციალურად განიარაღდა (Mahoney, 2018: 917).

ეტა-ს მიერ განხორციელებულმა მკვლელობამ, რომელმაც შეცვალა ისტორია, 1973 წელს, ლუის კარერო ბლანკოს, ესპანეთის დიქტატორის, ფრანცისკო ფრანკოს მესაიდუმლე და მასთთან დაახლოებული პირი შეიწირა და ესპანეთის კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლას შეუწყო ხელი (Barros and Gil-Alana, 2006: 100).

ესპანეთის მთავრობის კონტრ-ტერორისტულმა მიდგომამ, მნიშვნელოვნად შეამცირა დაზარალებულთა რიცხვი, მაგრამ მოლაპარაკების გზით გამოსავლის ძიება წარუმატებელი აღმოჩნდა, მას შემდეგ, რაც ეტა-მ მადრიდის ბარაიას აეროპორტი დაბომბა. 2006 წლის დეკემბერში, ეტა-მ კვლავ განამტკიცა საკუთარი სტატუსი, როგორც ბოლო ორგანიზებულმა შეიარაღებულმა ამბოხებამ დასავლეთ ევროპაში (Whitfield, 2015).

ბასკების პრობლემა და ეტა

ბასკეთის ავტონომიური გაერთიანება (ბასკების ქვეყანა) სამი პროვინციისგან შედგება: ალავა (Alava), ბასკაია (Biscay) და გიპუსკოა (Gipuzkoa) (იხ. დანართი 1). ასევე, ყოფილი ბასკური პროვინციაა ნავარა (Navarre), რომელიც არ შედის ბასკეთის ავტონომიურ გაერთიანებაში. 1516 წელს ბასკეთი ესპანეთის შემადგენლობაში შევიდა, იმ პირობით, რომ ისინი, ნაწილობრივ, შეძლებდნენ თავიანთი ქვეყნის მართვას. სწორედ ამიტომ, ბასკები სამხედრო სამსახურს საკუთარ ტერიტორიაზე გადიოდნენ, სარგებლობდნენ საშინაო მმართველობით (Fueros), ჰქონდათ საკუთარი კორტესი (წარმომადგენლობითი ორგანო), სასამართლო, საბაჟო და საგადასახადო პრივილეგიები (Barros and Gil-Alana, 2006: 97).

1876 წელს, მეორე კარლისტური ომის შემდეგ, ყველა ბასკურ პროვინციას, ნავარას გარდა, ჩამოერთვა თვითმართველობა. სწორედ ეს ცვლილებები გახდა ბასკური ნაციონალიზმის წარმოშობის მთავარი მიზეზი. ეს იყო ბასკური საზოგადოების რეაქცია ინდუსტრიალიზაციის პროცესზე, რამაც ესპანეთის სხვა ქალაქებიდან მუშების მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია. ხოლო, რკინის მაღაროებსა და ფოლადის ქარხნებში სამუშაოდ მისულმა მუშებმა, უბნები, სადაც, ერთ დროს, მხოლოდ ბასკურ ენაზე (Euskera) საუბრობდნენ, ესპანურენოვან უბნებად აქციეს (Baroso, 2006: 97). ექსპლუატაციისა და მძიმე სამუშაო პირობების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ ჩამოაყალიბეს მუშათა კავშირი - Union General de Trabajodores (UGT) და ესპანელ მუშათა სოციალისტური პარტია - Partido Socialista Obrero Espanol (PSOE). შეიარაღებული ძალები, რომელიც კლერკების წინააღმდეგი იყო, მორწმუნე ბასკი კათოლიკეების მიერ აღიქმებოდა, როგორც საშიში და ამორალური. ბასკების აზრით, ესპანელები, თავიანთი პროფკავშირული და პოლიტიკური საქმიანობის ერთად, საფრთხეს უქმნიდნენ ტრადიციული ბასკური საზოგადოების სტაბილურობას. თუმცა, მოგვიანებით, თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ბასკები ესპანელებს დაბალ კლასად მიიჩნევდნენ (Barros, 2006: 99) (Sullivan, 2015: 3).

ბასკური ნაციონალიზმის ფუძემდებლად მიიჩნევა საბინო არანა (Sabino Arana), კარლისტური გემის მშენებლის ვაჟი, რომელმაც მოიფიქრა სახელი "ეუსკადი" (Euskadi), შექმნა დროშა და ჩამოაყალიბა იდეოლოგია, რომელიც ესპანეთისდან ბასკეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნას ამყარებდა. მან, ასევე, ჩამოაყალიბა ბასკეთის ნაციონალისტური პარტია - Partido Nacionalista Vasco (PNV), რომელიც ხელმძღვანელობდა ბასკეთის რეგიონულ მთავრობას, 1980 წლიდან. არანამ ბასკებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, რაც საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბეისთვის. თავდაპირველად, ვიზკაიაში, და შემდეგ კი - ბასკეთის დანარჩენ სამ პროვინციაში. ბასკური საზოგადოების ყველაზე საამაყო მახასიათებელი იყო ენა, ეუსკერა, რომელიც არ არის ინდო-ევროპული და არანაირი აშკარა კავშირი არ აქვს სხვა ენებთან. შესაბამისად, ბასკური ბრძოლის სასიცოცხლო ელემენტს ეუსკერას დაცვა წარმოადგენდა (Sullivan, 2015: 4). არანას მიერ ენისთვის იდეოლოგიური მნივნელობის მინიჭება ხაზს უსვამდა ბასკების გამორჩეულობაზე და თავისთავად ამყარებდა ბასკების არგუმენტს დამოუკიდებლობის შესახებ. ბასკები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი ცხოვრობდნენ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც კანონები ყველა მოქალაქის მონაწილეობით იქმნებოდა, ხოლო დანარჩენი მსოფლიო ტირანიის ქვეშ ცხოვრობდა (Sullivan, 2015: 5). ამ ფენომენს, თეორეტიკოსმა დიეგო მურომ "ბასკური ნაციონალიზმის მობილიზებული მითები" უწოდა (Muro, 2010: 137).

1922–1930 წლებში, მიგელ პრიმო დე რივერას მმართველობის პერიოდში ბასკების ეროვნული მოძრაობის ყველანაირი ქმედება შეზღუდული იყო. ეროვნული მოძრაობის ხელახალი აღმავლობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ესპანეთში რესპუბლიკური წყობა დამყარდა. ამასთან ერთად, ბასკების ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა დაიწყო. 1936 წელს, სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ, ბასკეთმა ავტონომია მიიღო, მაგრამ, მხოლოდ 9 თვით მოახერხა მისი შენარჩუნება,

რადგან 1937 წელს ქალაქ გერნიკას დაბომბვის შემდეგ, დიქტატორ ფრანცისკო ფრანკოს მომხრეებმა დაიკავეს ბასკების ტერიტორია (Sullivan, 2015: 7). 1939 წელს ესპანეთის სათავეში ფრანკოს მთავრობა მოვიდა და რესპუბლიკელების მიერ მიღებული ყველა კანონი გაუქმებულად გამოაცხადა, მათ შორის - კატალონიის და ბასკეთის ავტონომიები. მათ, ასევე, ბასკური ენით საუბარი აკრძალეს ყველა დაწესებულებაში, გარდა ეკლესიისა. ბასკების ნაციონალისტურმა პარტიამ არალეგალური მოღვაწეობა ემიგრაციაში გააგრძელა. ფრანკოს დიქტატურასთან ბასკების ბრძოლა თავისუფლებისათვის, საკამოდ რთული აღმოჩნდა. ამიტომ, ბასკი ნაციონალსტების ერთმა ნაწილმა ბრძოლის სხვა ფორმას – ტერორს მიმართა. მათ 1959 წელს დააარსეს ორგანიზაცია ეტა (მაღრაძე და სხვები, 2016: 63); (Sullivan, 2015: 13).

ეტა (Euskadi Ta Askatasuna – ბასკების სამშობლო და თავისუფლება), როგორც ორგანიზაცია, საზოგადოებას მანიფესტის საშუალებით წარუდგა. მანიფესტში, ეტა-ს წევრებმა, საკუთარი თავი ბასკეთის მთავრობის მემკვიდრეებად წარმოადგინეს. თავდაპირველად ეტა განისაზღვრა, როგორც პატრიოტული, აპოლიტიკური, სეკულარული და დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც იცავდა თვითგამორკვევის უფლებას (Fernandez, 2017: 22).

ეტა-მ, მისი დამფუძნებელის, საბინო არანასგან განსხვავებით (Whitfield, 2015:2; Molina and Muro, 2017: 22), ბასკური ნაციონალიზმის ყველაზე ექსტრემალური ფორმა აირჩია. ეტა ახალგაზრდა ბასკების ჯგუფისგან დაიბადა, რომლებიც, 1950-იან წლებში, სულ უფრო და უფრო იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ საზოგადოების პასიურობით. ეტა საკუთარ თავს მიიჩნევდა პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებდა.

ეტა-ს ახალი პოლიტიკური მიზანი წარმოადგენდა დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოს - Euskal Herria-ს (”ბასკურ ენაზე მოლაპარაკე ხალხის მიწა”) ჩამოყალიბებას, რომელიც დღეს, ბისკაიის ყურის გარშემო, ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვრებზე გადის (Whitfield, 2015: 2). ეტა-ს თქმით, ბასკეთის სახელმწიფო შვიდ ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს - ესპანეთის მხრიდან სამ პროვინციას: არაბა, გიპუზკოა და ვიზკაია; ნავარის ესპანეთის ავტონომიურ საზოგადოებას; და საფრანგეთის მხრიდან სამ პროვინციას: ქვემო ნავარი, ლეიბორდი და სოლე (Barros and Gil-Alana, 2006: 97). ადრეულ წლებში ეტა-სთვის დამახასიათებელი იყო ხანგრძლივი იდეოლოგიური დისკუსიები, მრავალრიცხოვანი გაყოფა და პროპაგანდა. ასევე, დივერსიის და შეიარაღებული მოქმედებების თანდათანობითი ესკალაცია. თავდაპირველად, ეტა სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდა და ანტიკოლონიალური ხასიათის იყო. შემდეგში, თავი მან მარქსისტულ–ლენინისტურ დაჯგუფებად გამოაცხადა, რომლის მიზანი არამარტო ბასკეთის სახელმწიფოს, არამედ სოციალიზმის მშენებლობაც იყო (Molina and Muro, 2017: 24).

ეტა-ს ტერორისტული კამპანია

მიუხედავად ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგობისა, ჯგუფი რეგულარულად ირჩევდა სამოქალაქო პირებს თავიანთი მიზნების მისაღწევად. ამ მიზნებში იგულისხმებოდა მეტოქე სეპარატისტული ჯგუფებისთვის კონკურენციის გაწევა და მოლაპარაკებების ჩაშლა. აგრესიულმა ტერორისტულმა კამპანიამ, ეტა-ს ორგანიზაციული ზრდა გამოიწვია. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამოქალაქო სამიზნე ჯგუფისთვის აჯანყების სტიმული ყოფილიყო. მიზნის მისაღწევად ეტა თავის ძირითად სტრატეგიად "მოქმედება– რეპრესია– მოქმედება"-ს ასახელებდა (Whitfield, 2015: 2), ხოლო მისი განხორციელება შემდეგანირად ხდებოდა - არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ პროვოკაციული ხასიათის ძალადობრივი ქმედებების განხორციელება და მათი რევოლუციურ მდგომარეობამდე მიყვანა.

ეტა-ს პირველი მსხვერპლი 1968 წელს, სან სებასტიანში, საიდუმლო პოლიციის უფროსი აღმოჩნდა. ამ წელს ესპანეთის მთავრობამ 1900 კაცი დააპატიმრა და ზოგიერთი მათგანი სიკვდილით დასაჯა. 1969– 1970 წლებში ეტა–ს თითქმის ყველა ლიდერი დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოში გაასამართლეს (Molina and Muro, 2017: 25).

ეტა–ს სტრატეგიული კამპანია იყოფა ოთხ ფაზად, რომლებიც ჯგუფის მიერ გამოყენებული სტრატეგიული ძალადობის და ტერორიზმის კონკრეტულ აუდიტორიაზე განხორციელების მიხედვით სხვადასხვა პერიოდებად არის დანაწილებული (Mahoney, 2018: 920). პირველი ფაზა 1958-1968 წლებს ეძღვნება. ამ პერიოდში, ეტა-ს სტრატეგია ყველანაირი ძალადობის გარეშე მოქმედებას გულისხმობდა და გაფიცვებით, საპროტესტო აქციებით, ბოიკოტით და აქტივიზმის სხვა ფორმებით აუდიტორიის ინტერესების გაღრმავებას ცდილობდა. ამ დროს ესპანეთში ფრანკოს ავტორიტარული რეჟიმი ბატონობდა. ეტა-ს შეიარაღებული ბრძოლა ეროვნული, სოციალური და რელიგიური სამართლიანობისთვის განიხილებოდა, როგორც ბრძოლა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ, ამიტომ მას მხარს უჭერდა არა მარტო ბასკების დიდი ნაწილი, არამედ მთელი ესპანეთის მოსახლეობის უმრავლესობა (Barros and Gil-Alana, 2006: 98). ამ პერიოდში (1968-1975 წლებში), ეტა იყენებდა ტერორისტული პროვოცირების სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავდა ბასკი მოსახლეობის ფრანკოს რეჟიმისგან უფრო მეტად რეპრესირებას. ამავე დროს, ეტა ცდილობდა დიქტატურის სტრატეგიის შესაცვლელად ტერორიზმის გამოყენებას. ჯგუფი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო ტერორიზმით ბასკი საზოგადოების მხარდაჭერას მოიპოვებდა (Mahoney, 2018: 921).

1970–იან წლებში ეტა–მ ბრძოლის ფორმები შეცვალა. ისინი, ძირითადად, პოლიტიკოსებისა და დიპლომატების გატაცებებით იყვნენ დაკავებულნი. სულ 1968–1975 წლებში ტერორისტებმა 40 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ამის გამო, 1973 წელს, ხელისუფლებამ დაპატიმრებული ტერორისტების დიდი ნაწილი სიკვდილით დასაჯა (Barros and Gil-Alana, 2006: 99). 1973 წლის 20 დეკემბერს ეტა–მ თავისი ყველაზე გახმაურებული ტერაქტი მოაწყო. ტერორისტებმა გზის საფარქვეშ გვირაბი გაიყვანეს და ასაფეთქებელი ნივთიერებით ამოავსეს. გზაზე, სადაც ესპანეთის პრემიერ–მინისტრს, ადმირალ ლუის კარერო ბლანკოს უნდა გაევლო (იხ. დანართი 1.2), აფეთქების შედეგად, ბლანკო და ორი თანმხლები პოლიციელი დაიღუპა. ეს მკვლლეობა სიმბოლური მნიშვნელობისაა, რადგან ეტა-ს მიერ განხროციელებულმა ტერაქტმა სამუდამოდ დაასრულა ფრანცისკო ფრანკოს დიქტატურა. შედეგად, გადასახლებაში მყოფმა მეფემ მეფე ხუან კარლოს I-მა, ტახტის დაბრუნება მოახერხა და ესპანეთი კონსტიტუციურ მონარქიად გამოცხადდა (Whitfield, 2015: 2).

1975 წელს ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. 1978 წელს ესპანეთში მიიღეს ახალი, დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სრულ პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებას უზრუნველყოფდა (Molina and Muro, 2017: 29). ესპანეთის დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში, ეტას ორგანიზაციაში განხეთქილება მოხდა. უთანხმოება გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობამ დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. 1976-1982 წლებში ეტა–ს წევრების ნაწილმა ჩამოაყალიბა ახალი ჯგუფი სახელწოდებით ETA politico-military (ETA-pm), რომელიც, თავის მხრივ, სამხედრო და პოლიტიკურ ნაწილებად დაიყო. პირველი წმინდა ტერორისტული სახის ორგანიზაცია იყო, მეორე კი - დემოკრატიულ პროცესში ბრძოლის

მშვიდობიან ინტეგრირებას ცდილობდა. ამ პერიოდის განმავლობაში, ეტა–ში დარჩენილმა წევრებმა შეიმუშავეს ახალი სტრატეგია და გაზარდეს ჯგუფის ტერორისტული ძალადობა, რათა სიგნალი გაეგზავნათ ენთუზიაზმით აღსავსე ბასკი სეპარატისტებისთვის (Mahoney, 2018: 921).

მიუხედავად არსებული დემოკრატიული სისტემისა, ეტა კვლავ განაგრძობდა სხვადასხვა სახის ტერორისტული ქმედებების განხორციელებას. ეტა-ს თავდასხმის მთავარი ობიექტები სახელმწიფო აპარატის, სამხედრო და პოლიციის მაღალჩინოსნები იყვნენ. იმ პერიოდისთვის, ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 500 კაცს აღწევდა, მათ შორის, 200 მებრძოლი იყო, დანარჩენები კი - მათი მხარდამჭერები. ეტა-ს ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა მსხვერპლისთვის კეფაში ტყვიის სროლა იყო. როგორც დოდეკა სალეგიმ (Dodega Salegi) განაცხადა, "ესპანეთს არც ერთ ომში არ დაუკარგავს იმდენი გენერალი, რამდენიც ეტა–მ შეიწირა" (Woodworth, 2001: 5).

1983 - 1992 წლებში, ეტა-ს ახალი ფრთის (ETA-pm) დაშლის შემდეგ, ეტა-მ მიიღო ახალი სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, ის ცდილობდა მაქსიმალური ტკივილი მიეყენებინა ესპანეთის მოსახლეობისთვის, რათა ესპანეთის მთავრობა იძულებული გამხდარიყო ეღიარებინა ბასკეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ხოლო 1992 წლიდან - ეტა ტერორიზმს, ძირითადად, სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩასაშლელად იყენებდა - მიზანი საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივება და მისი რადიკალური ბასკეთის სეპარატისტულ მოძრაობაში სტატუსის შენარჩუნება იყო (Mahoney, 2018: 921).

1975-1995 წლებში ეტა–მ ბასკების გარკვეული ნაწილის მხრიდან კვლავ მოიპოვა როგორც მორალური, ისე ფინანსური მხარდაჭერა. განსაკუთრებით, ესპანეთის გარდამავალ პერიოდში, 1976-1981 წლებში, გაიზარდა ეტა-ს მიერ განხორციელებული ტერაქტების რიცხვი და შედეგად, 302 ადამიანი დაიღუპა. ეს წლები ცნობილი გახდა, როგორც "წამყვანი წლები", რადგან ეტა-ს ძალადობრივ ქმედებებს ყოველკვირეული გაზეთების სათაურებში წამყვანი ადგილი ეკავა. ძალადობის დონე შემცირდა 1980-იანი წლების შემდგომ. ეტა-მ მოკლა 845 ადამიანი 52-წლიანი ისტორიის განმავლობაში - 802 - დემოკრატიულ პერიოდში და 43 - დიქტატორის ქვეშ (Molina and Muro, 2017: 38).

1986 წელს, ესპანეთსა და საფრანგეთის შორის გააფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას ითვალისწინებდა, და ასევე, კრძალავდა ეტა-ს წევრებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას. შედეგად, ეტა-ს ლიდერებმა, მათ შორის, მუხიკო გარენდამ ორგანიზაციის წევრებს მოუწოდა, რომ მთელი ენერგია და კონცენტრაცია მხოლოდ ფრანგ ტურისტებზე, სატვირთო ავტომობილებსა და საექსკურსიო ავტობუსებზე თავდასხმებზე და ტერორზე მოეხდინათ (Mahoney, 2018: 933).

საპასუხოდ, 1987–1992 წლებში საფრანგეთისა და ესპანეთის სპეცსამსახურებმა ეტა-ს საპასუხო დარტყმა მიაყენეს - 500–ზე მეტი აქტივისტი, მათ შორის, თითქმის ყველა ლიდერი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ეტა-მ ბასკი მეწარმეებისგანაც უარი მიიღო ფინანსურ დახმარებაზე. შესაბამისად, ორგანიზაციაშიც გაჩნდა შიდა პრობლემები, რომლის შედეგადაც, 1990–იანი წლების დასაწყისში ეტა–ს წევრთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ეტა კვლავ აგრძელებდა ტერორისტულ საქმიანობას (Molina and Muro, 2017: 36). 1995–დან 2011 წლამდე პერიოდი ხასიათდება, როგორც ეტა–ს ცნობიერების ამაღლების პერიოდი. ეტა მიხვდა, რომ სამხედრო გამარჯვება შეუძლებელი იყო (ანტი-ტერორიზმის ეფექტიანობის გამო) და მის მიერ განხორციელებული ძალადობრივი მეთოდების მზარდი წინააღმდეგობის გამო. 1997 წელს, ეტა-მ გაიტაცა და შემდეგ მოკლა ბასკეთის მუნიციპალური საბჭოს წევრი და მემარჯვენე სახალხო პარტიის (Popular Party) მრჩეველი, მიგელ ბლანკო. ამ მკვლელობამ ესპანელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც ეტა-ს ავტორიტეტი მკვეთრად შეილახა. ესპანელმა ხალხმა გრანდიოზული დემონსტრაცია გამართა, რომელშიც 1.5 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა (Molina and Muro, 2017: 39). ამის შედეგად, უფრო აშკარა ანტი-ტერორისტული და ანტი-ბასკური ნაციონალისტური აქტივიზმი წარმოიშვა - ერმუას ფორუმის (Foro de Ermua) სახელით, რომელსაც ის ბასკონური ქალაქის საპატივსაცემოდ დაარქვეს (Whitfiled, 2015: 4).

1998 წელს ორგანიზაციამ ლიზარას დეკლარაციის (Lizarra Pact) თანახმად ტერაქტებზე დროებით უარი განაცხადა. ჟენევაში გამართული მოლაპარაკების შედეგად დიალოგის მიღწევა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, 2000 წელს, იანვარში, ეტა-მ განაახლა თავისი ტერორისტული კამპანია (Mahoney, 2018: 930).

ეტა მონაწილეობდა “ბასკური ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის” - Basque National Liberation (MLNV) შემუშავებაში, რომელიც სპეციალური დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფების ქსელია, მათ შორის, პროფკავშირების, კულტურული გაერთიანებების, ახალგაზრდული ორგანიზაციების აგრეთვე - ისეთი პარტიების, როგორიცაა ჰერი ბატასუნა (Herri Batasuna), რომელიც 1978 წელს შეიქმნა (Duhart, 2019: 6).

ასევე, აღსანიშნავია, პოლიტიკური პარტია ჰერი ბატასუნა-ს (მოგვიანებით ბატასუნა) მნიშვნელოვანი როლი, რომელიც 1978 წლიდან იღებდა მონაწილეობას ბასკეთის არჩევნებში და მუდმივად აგროვებდა ხმების 15%-ს. ეტა და ფართო ნაციონალური მოძრაობა - MLNV, ბასკეთის ავტონომიას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევდა, ხოლო ესპანეთის დემოკრატიას არალეგიტიმურს უწოდებდა. პოლიტიკური ამნისტიის შემდეგ, ესპანეთის უსაფრთხოების სამსახურებმა კვლავ განაახლეს ეტა-ს მიმართ თავიანთი დამოკიდებულება და შესაბამისად, ძალადობაც გაგრძელდა (Whitfield, 2015: 5).
2000-იანი წლების შუა პერიოდში ეტა პოლიტიკურად იზოლორებული იყო, მათ შორის, რადიკალური ბასკი სეპარატისტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ 2018 წლამდე იარსება, 2011 წლისთვის ის უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო, როდესაც მან ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი საბოლო დაშლისკენ (Mahoney, 2018: 931).

კონტრტერორიზმი და მოლაპარაკება

2012 წლამდე, ესპანეთის ყველა მთავრობამ სცადა მოლაპარაკებების ან დიალოგის დაწყება ეტა-სთან, მაგრამ ვერცერთმა მთავრობამ ვერ შეძლო პრობლემის სირთულეზე და მის მასშტაბზე შეთანხმება. მათ ვერ განსაზღვრეს ეტა-ს მიერ განხორციელებულ ტერორიზმზე გაემახვილათ ყურადღება თუ ზოგადად, ბასკების კონფლიქტზე და რეგიონში არსებულ პრობლემებზე (Whitfield, 2015: 5).

ესპანეთის თანმიმდევრული მთავრობები ამტკიცებდნენ, რომ ისინი არანაირ მოლაპარაკებას არ აპირებდნენ ტერორისტებთან, თუმცა მოლაპარაკების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობდა. ამასთანავე, ეტა დაჟინებით ითხოვდა წინაპირობებს მოლაპარაკებამდე, რომლებიც ესპანეთის არცერთი მთავრობისთვის არ იყო მისაღები. 1982 წლის შემდეგ, სოციალისტური მთავრობა საკუთარი კონტრტერორისტული კამპანიით ფრანკოს ეპოქის პრაქტიკებს მიუბრუნდა - როდესაც არალეგალური სამხედრო ჯგუფების (GAL) მხარდაჭერა დაიწყეს (Whitfield, 2015: 5).

აჯურია ენეას 1988 წლის ხელშეკრულება იყო პირველი კონსენსუსი პოლიტიკურ პარტიებს შორის (ჰერი ბატასუნას გარდა) ეტა-ს საერთო მიდგომასთან დაკავშირებით. იგი მოიცავდა პოლიციის დახმარებით ეტა-ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ვალდებულებებს. ასევე, დიალოგის გამართვის შესაძლებლობას მათთან, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა ძალადობის შეწყვეტა (Whitfield, 2015: 5). სწორედ ამის საფუძველზე, 1989 წელს, ალჟირში, ოფიციალური მოლაპარაკებები გაიმართა, რომელიც, შეთანხმების მიღწევამდე ჩაიშალა. ეტა-ს პოლიტიკური მიზნები ზედმეტად მიუღწევადი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ესპანეთის სახელმწიფოს პატიმრებისთვის მშვიდობიანი უზრუნველყოფის პირობა შეესრულებინა. ეტა ძალადობას დაუბრუნდა იმის იმედით, რომ ეს აიძულებდა მთავრობას მოლაპარაკებების მაგიდასთან მობრუნებას. იმავდროულად, მთავრობამ ჯგუფის წინააღმდეგ ძალისხმევა გააძლიერა (Whitfield, 2015: 6).

1997 წელს ხოსე მარია აზნარის (José María Aznar) კონსერვატიული ხელისუფლების არჩევის შემდეგ, კონტრტერორიზმმა, როგორც მოქმედებამ ასოციაციის სახე მიიღო, რომელიც არაძალადობრივი სეპარატისტული ჯგუფების კრიმინალიზაციას გულისხმობდა, რაც ასევე, ეროვნული სასამართლოს მიერ იყო გამართლებული (Duhart, 2019: 7).

აზნარის მთავრობამ შემოიღო რადიკალური სტრატეგია ეტა-ს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შესახებ. მათი ძირითადი იდეა პოლიციის გამოყენებით ტერორიზმის დამარცხება იყო - ყველანაირი დიალოგის ან მოლაპარაკებების გარეშე. პარადოქსულად, სწორედ აზნარის სტრატეგია დიალოგის წინააღმდეგ, აღმოჩნდა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო სამშვიდობო პროცესებს (Argomaniz and Vidal-Diez, 2015: 164).

ბასკების ნაციონალურ პარტიასთან (PNV) კონფიდენციალური შეთანხმებების საფუძველზე, ეტა-მ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა. აზნარმა გამართა მოლაპარაკებები მის წარმომადგენლებსა და ეტა-ს შორის, მაგრამ პირველივე შეხვედრაზე მიხვდა, რომ ეტა-ს არ სურსდა კომპრომისზე წასვლა. შესაბამისად, მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და ეტა-მ ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილება 1999 წლის ბოლოს გააუქმა (Whitfield, 2015: 6).

2000 წელს, სახალხო პარტია (PP) ხელისუფლების სათავეში აბსოლუტური უმრავლესობით მოვიდა. 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ "გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" ამერიკის შეერთებული შტატების, ისევე როგორც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავარი სტრატეგია გახდა. ესპანეთმაც შეიტანა ცვლილებები თავის იურიდიულ ჩარჩოებში და გაზარდა მისი კონტრტერორისტული თანამშრომლობა საფრანგეთთან და ევროკავშირთან (Whitfield, 2015: 6).

2002 წელს, ესპანეთის პარლამენტმა კენჭი უყარა პოლიტიკურ პარტიებზე კანონში ცვლილებების შეტანას, რომელიც ბატასუნას (პოლიტიკური პარტიის) აკრძალვას ეხებოდა. ესპანეთის მთავრობის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა საგრძნობლად შეზღუდა ეტა-ს ოპერატიული შესაძლებლობები. არსებული არაპროგრნოზირებადი გარემოებები ხელს არ უშლიდა ახალი ინიციატივების შექმნას. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, სადაო წინადადება, ბასკების პრეზიდენტს ხუან ხოსე იბარეტექსს (Juan José Ibarretxe) ეკუთვნის, რომელმაც, ევსკადის (ბასკეთის სამშობლოს) ესპანეთთან "თავისუფალი ასოციაციის" ურთერთობა შესთავაზა (Whitfield, 2015: 6).

ამავდროულად, საზოგადოების ყურადღების მიღმა, სტრატეგიული საუბრები იმართებოდა არნალდო ოტეგის (Arnaldo Otegi) - ბატასუნას ლიდერსა და ბასკების სოციალისტური პარტიის (PSE) პრეზიდენტს, ჯესი ეგიგურენს (Jesús Eguiguren) შორის. შეხვედრები მიზნად ისახავდა ადრეული სამშვიდობო ძალისხმევის წარუმატებლობის მიზეზების გაანალიზებასა და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობებს Whitfield, 2015: 6).

ბასკეთის საკითხებში ყოველგვარი ჩარევა აღიქმებოდა, როგორც ესპანეთის სუვერენიტეტის შელახვად. მიუხედავად ამისა, ბასკებმა მაინც განაგრძეს დახმარების ძიება სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო წარმომადგენლობებში. სოციალურმა მოძრაობა ელკარმა (Elkarri) საერთაშორისო ექსპერტები მოიწვია ბასკური ქვეყნის მოსანახულებლად. ის ასევე დაუკავშირდა აშშ–ში მყოფ ექსპერტებს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, რომლებიც 1990 წლიდან ადევნებდნენ თვალს ბასკეთში განვითარებულ მოვლენებს. ამასთან, სხვა საერთაშორისო პირებმაც დაიწყეს ჩარევა, მათ შორის, ჟენევაში დაფუძნებულმა ჰუმანიტარული დიალოგის ცენტრმა (HD Center), რომელიც ეტა-ს 2003 წლის ბოლოს დაუკავშირდა Whitfield, 2015: 7).

2004 წლის 11 მარტს, ესპანეთის საყოველთაო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ისლამურმა ექსტრემისტებმა მადრიდის სამგზავრო მატარებლებზე ტერაქტი მოაწყეს. სახალხო პარტიამ (PP) თავის კამპანიაში ეტა-ს წინააღმდეგ თავისი წარმატება ახსენა, ხოლო აზნარის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა სწრაფად გამოაცხადეს ეტას-ს პასუხისმგებლობა მადრიდის სამგზავრო მატარებლის ტერაქტთან დაკავშირებით. შედეგად, სახალხო პარტიამ თავის კამპანიაში წარმოდგენილი ფაქტი ვერ დაამტკიცა, რის გამოც ესპანელმა ამომრჩეველმა თავი მოტყუებულად იგრძნო და 14 მარტს ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის (PSOE) ხოსე ლუის როდრიგეს ზაპატაროს (José Luis Rodríguez Zapatero) გადასცა საარჩევნო გამარჯვება (Whitfield, 2015: 7) (Alonso, 2013: 114).

ზაპატეროს მმართველობის პირველი ვადა ორიენტირებული იყო სოციალური ცვლილებების შემოღებით და ესპანეთის ავტონომიური თემების მარეგულირებელი რეფორმებით. ზაპატეროს პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში იყო დიალოგი ეტა-სთან. 2005 წლის მაისში, მან ეტა-ს საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თანხმობა მიიღო (Whitfield, 2015: 7).

2004 წლის ნოემბერში ახალ სამშვიდობო პროცესებს ჩაეყარა საფუძველი. ბატასუნა-ს სახელით, ოტეგის მიერ წარდგენილი წინადადებების შესაბამისად, ორი მთავარი თემა განიხილებოდა: ერთი იყო სამშვიდობო შეთანხმება ეტა-ს და ესპანეთსა და საფრანგეთის სახელმწიფოებს შორის. ასევე, ტექნიკური საკითხების მოგვარება, მათ შორის - დემილიტარიზაციის, პატიმრების, ლტოლვილებისა და დაზარალებულთა პრობლემები, ხოლო მეორე - ბასკეთის სოციალურ და პოლიტიკურ ძალებს შორის ევსკალ ჰერიას-თან (Euskal Herria) სამომავლო პოლიტიკურ შეთანხმებებზე მოლაპარაკება (Whitfield, 2015: 7) (Alonso, 2013: 114).

საწყისი მოლაპარაკებები ჯესი ეგიგურენსა (Eguiguren) და ეტა-ს წარმომადგენლებს შორის 2005 წლის მაისში, ჟენევასა და ოსლოში, დახურულ პირობებში გაიმართა. მათ მოამზადეს დეტალური გეგმა 2006 წლის მარტის თვეში ეტა-ს მიერ პირველი მუდმივი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მხარეებს შორის შეთანხმებული კონფიდენციალური ვალდებულებების და „გარანტიების" საფუძველზე (Whitfield, 2015: 7).

2006 წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, ეტა და მთავრობის წარმომადგენლები რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს. მხარეებს შორის მოლაპარაკებების მიღწევა კიდევ უფრო რთული გახდა, მას შემდეგ, რაც მათ მიერ შეთანხმებული ვალდებულებებისა და გარანტიების გააზრებაში ფუნდამენტური განსხვავებები აღმოაჩინეს (Whitfield, 2015: 7).

სექტემბერში და ოქტომბერში, ბასკების სოციალისტურმა პარტიამ (PSE), ბატასუნა-მ და ბასკების ნაციონალისტურმა პარტიამ (PNV), პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის მიზნით კონფიდენციალური შეხვედრები გამართეს იეზუიტი ლოიოლას (Loyola) საკურთხეველში. მათ მიიღეს წინადადებება, რომლის საფუძველზე ბასკეთის ხალხი აღიარეს როგორც "ერი", ხოლო ევსკალ ჰერია (Euskal Herria), როგორც სოციალური, ისტორიული და კულტურული რეალობა. ისინი შეთანხმდნენ, რომ "ბასკი მოქალაქეების მიერ თავისუფლად და დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს პატივნაცემი ესპანეთის ინსტიტუტების მიერ", და რომ ეს შეიძლება ითვალისწინებდეს დამოუკიდებლობას. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ ხელი შეუწყონ ახალი, "საერთო ინსტიტუციური ერთეულის" შექმნას, რომელიც მოიცავს ევსკადსა და ნავარას (Whitfield, 2015: 7).

ლოიოლას შეთანხმება ყველაზე ახლოს მივიდა ბასკური ნაციონალიზმის მოთხოვნების აღიარებასთან, ვიდრე სხვა შეთანხმებები, რაც აქამდე ყოფილა. ამასთან, მოლაპარაკებები ეტა-ს და მთავრობას შორის საკმაოდ გართულდა, მას შემდეგ, რაც ეტა-მ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პირობა დაარღვია და თავს დაესხა მადრიდის ბარაიას (Barajas) აეროპორტს, შედეგად კი ორი ეკვადორელი დაიღუპა. შედეგად, მთავრობამ სამშვიდობო პორცესი დასრულებულად გამოაცხადა (Whitfield, 2015: 8)((Alonso, 2013: 116).

მიუხედავად ამისა, ესპანეთის მთავრობამ ჰუმანიტარული დიალოგის ცენტრის (HD) მეშვეობით შეინარჩუნა ეტა-სთან კონტაქტი და 2007 წლის მაისში, კვლავ მოიწვია მოლაპარაკების მაგიდასთან. ამჯერად, ახალმა ფორმატმა საშუალება მისცა არა მხოლოდ ბატასუნას, არამედ საერთაშორისო დამკვირვებლებს, ნორვეგიისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობის წარმომადგენლებს, ასევე ჰუმანიტარული დიალოგის ცენტრს, მოლაპარაკების პროცესებს დასწრებოდნენ. მოლაპარაკებები დასრულდა 22 მაისს, ხოლო 6 ივნისს, ეტა-მ ცეცხლის შეწყვეტის პერიოდი დაასრულებულად გამოაცხადა (Whitfield, 2015: 8).

22 მაისს, სამშვიდობო მოლსპარაკებების დაშლის შემდეგ, არნალდო ოტეგი და რუფი ეტექსბერია მატარებლით ბრუნდებოდნენ სახლში, როდესაც ეტექსბერიამ თავის კოლეგას უთხრა: "მოლაპარაკებისა და სტრატეგიის ეს მოდელი დასრულებულია". ბასკური ნაციონალისტური მემარცხენეობის პოლიტიკურმა ლიდერებმა უკვე იცოდნენ, რომ მათ ჩიხს მიაღწიეს (Zulaika and Murua, 2017: 3).

სამშვიდობო პროცესები

ესპანეთმა სწრაფად გაზარდა ზეწოლა ეტა-ს და ნაციონალისტი მემარცხენეების მიმართ. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დასრულების მეორე დღეს ოტეგი დააპატიმრეს. ოქტომბერში, ასევე დააკავეს ბატასუნას ოცდასამი წევრი (Patterson, 2014: 357).

ალფრედო რუბალკაბას, ზაპატაროს შინაგან საქმეთა მინისტრისა და ეტა-ს წინააღმდეგ სამთავრობო პოლიტიკის არქიტექტორის სტრატეგია პოლიციის საშუალებით ბრძოლას გულისხმობდა. მისის სტრატეგია, არ ითვალისწინებდა პოლიტიკურ დათმობებზე წასვლას. მთავრობამ კატეგორულად განცხადა, რომ ეტა-ს აღარ ენდობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და რომ ეტა-სთან აღარ იქნება შემდგომი მოლაპარაკება (Whitfield, 2015: 8).

ცეცხლის შეწყვეტის შედეგად გამოიკვეთა უთანხმოებები, როგორც ეტა-ს შიგნით, ასევე ეტა-ს და ბატასუნა-ს ლიდერებს შორის. ამან დიდი წინააღმდეგობა შეუქმნა პროცესს, რომლის მომზადებას წლები დასჭირდა. ბატასუნას წინააღმდეგ მთავრობის მიერ განხორციელებულმა კამპანიამ შეამცირა შესაძლებლობები შემდეგი ნაბიჯების გადადგმისათვის. როდესაც ოტეგი ციხიდან გამოვიდა, 2008 წლის აგვისტოში, მან სხვა წევრებთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა (Whitfield, 2015: 8).

ოტეგისა და სხვების მიერ არჩეულ გზას, ეტა-ს ლიდერებისგან დიდი წინააღმდეგობა მოყვა. ოტეგის არჩევანზე დიდი გავლენა მოახდინა სხვაგან არსებულმა სამშვიდობო პროცესებმა, რომლებსაც ჰქონდათ შეიარაღებული ბრძოლიდან ძალადობრივ პოლიტიკურ მოქმედებაზე გადასვლის გამოცდილება. ოტეგი და ბატასუნას კიდევ რამდენიმე ლიდერი აქტიურად აგრძელებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირს, რომლებიც ადრეულ პროცესებშიც იყვნენ ჩართულნი (Whitfield, 2015: 8).

როდესაც ოტეგი ისევ დააპატიმრეს, 2009 წლის ოქტომბერში, მისი საქმე რუფი ექსბებრიას (Rufi Etxeberria) ხელმძღვანელობით გაგრძელდა - ბატასუნას კიდევ ერთი ცნობილი ლიდერი, რომელსაც ფართო ნაციონალური მოძრაობის (MLNV) უფლებამოსილება აქვს (Whitfield, 2015: 8).

ეტა-სთვის ცნობილი გახდა, რომ აუცილებელია სამი რამ, რათა მოხდეს ახალ მიმართულებაზე გადასვლა. პირველი, ეს არის კონსულტაციები რადიკალურ ნაციონალისტურ ბაზასთან, მეორე - პოლიტიკური ალიანსების ჩამოყალიბება მასობრივი დახმარების შესაქმნელად და მესამე - საერთაშორისო ჩართულობა (Whitfield, 2015: 8).

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობით, 2010 წლის მარტში, გაფორმდა ბრიუსელის დეკლარაცია, რომელსაც მშვიდობის პრემიის ექვსი ჯილდოს მფლობელმაც მოაწერა ხელი და მოუწოდა ეტა-ს, რომ გამოაცხადოს მუდმივი და დამოწმებული ცეცხლის შეწყვეტა. ეტა გამოეხმაურა ბრიუსელის დეკლარაციას და გამოაცხადა ძალადობრივი შეიარაღებული მოქმედებების შეჩერების შესახებ; ხოლო, 2010 წლის იანვარში, მან მუდმივი ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა, მაგრამ ესპანეთის მთავრობა მაინც სკეპტიკურად აღიქვამდა მის განცხადებას (Whitfield, 2015: 9).

2011 წლის თებერვალში, ბატასუნამ წარადგინა წესდება ახალი პოლიტიკური პარტიის შესახებ, სახელით სორტუ (Sortu), რომელიც აშკარად უარყოფდა ეტა-ს ძალადობას. მადრიდისთვის ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, მთავრობამ მკაცრი პირობები წაუყენა ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც მხარს უჭერდნენ ეტას და მათი მიზნების გატარებას, სანამ ეტა ჯერ კიდევ მოქმედი ორგანიზაცია იყო (Whitfield, 2015: 9).

2011 წლის, 17 ოქტომბერს, სან სებასტიანში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია. ეს იყო მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ლიდერების მიერ გაწეული დახმარებით. გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი, კოფი ანანი (Kofi Annan) სათავეში ედგა კონფერენციას, სადაც გამოიცა დეკლარაცია. დოკუმენტი ეტა-ს მისამართით იყო განკუთვნილი და მისი ძალადობის დასრულების გამოცხადებას ითხოვდა. სამი დღის შემდეგ, როგორც დეკლარაციაში იყო გათვალისწინებული, ეტამ განაცხადა შეიარაღებული საქმიანობის საბოლოო დასრულება. ეს იყო სასიგნალო მომენტი ესპანეთის თანამედროვე ისტორიაში. მით

უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ესპანეთმა და საფრანგეთის უსაფრთხოების ძალებმა მალე დაადასტურეს ძალადობისგან გათავისუფლების შესახებ (Whitfield, 2015: 9).

მიუხედავად იმისა, რომ ეტა-მ, როგორც ორგანზიაციამ, 2018 წლამდე იარსება, ის 2011 წლისთვის უკვე თითქმის დაშლილი იყო, როდესაც მან გამოაცხადა ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა - პირველი ნაბიჯი მისი საბოლოოდ დაშლისკენ (Mahoney, 2018: 17). ეტა-მ სრულ განიარაღებას მთელი შვიდი წელი მოანდომა (Tellidis, 2018: 4).

2017 წლის 8 აპრილს, ეტა ეფექტურად ასრულებს შეიარაღებულ კამპანიას და აცხადებს, რომ იგი მთლიანად განიარაღებულია და პოლიციას უმხელს იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და საბრძოლო მასალის ადგილმდებარეობას საფრანგეთის ქალაქ ბაიონში. ესპანეთის მთავრობა ეტა-ს ნაბიჯს დადებითად აფასებს, მაგრამ აცხადებს, რომ არასაკმარისია. ის მოუწოდებს ჯგუფს - ოფიციალურად დაითხოვოს წევრები და ბოდიში მოუხადოს თავის მსხვერპლსა და საზოგადოებას (Mahoney, 2018: 931).

2018 წლის 2 მაისი - ეტა ავრცელებს აუდიო შეტყობინებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მან "მთლიანად დაშალა ყველა თავისი სტრუქტურა" და რომ ის "აღარ გამოთქვამს პოლიტიკურ პოზიციებს". იმავე თვის ბოლოს, ჯგუფი ბოდიშს იხდის მსხვერპლისა და მათი ახლობლების წინაშე, მიყენებული ზიანისთვის. ესპანეთი მიესალმება ბოდიშს, მაგრამ ამბობს, რომ მათ დიდი ხნის წინ უნდა მოეხადათ ბოდიში, და რომ ბასკები და ესპანელი ხალხი მათ ვერასოდეს აპატიებენ (Duhart, 2019: 7).

გამოყენებული ლიტერატურა

Alonso, R. (2013). The Madrid Bombings and Negotiations with ETA: A Case Study of the Impact of Terrorism on Spanish Politics. Terrorism and Political Violence, 25(1), pp.113-136.

Alonso, R. (2016). Victims of ETA's terrorism as an interest group: Evolution, influence, and impact on the political agenda of Spain. Terrorism and Political Violence, 29(6), pp.985-1005.

Anderson, W. (2003). The ETA: Spain's Basque terrorists. 1st ed. New York: Rosen Pub. Group, pp.4-15.

Argomaniz, J. and Vidal-Diez, A. (2014). Examining Deterrence and Backlash Effects in Counter-Terrorism: The Case of ETA. Terrorism and Political Violence, 27(1), pp.160-181.

Barros, C. and Gil Alana, L. (2006). ETA: A PERSISTENT PHENOMENON. Defence and Peace Economics, 17(2), pp.95-116.

BUESA, M. and BAUMERT, T. (2013). UNTANGLING ETA'S FINANCE: AN IN-DEPTH ANALYSIS OF THE BASQUE TERRORIST'S ECONOMIC NETWORK AND THE MONEY IT HANDLES. Defence and Peace Economics, 24(4), pp.317-338.

Duhart, P. (2019). Criminalizing peace: anti-terrorism law and its impact on peacemaking in the Basque Country and Northern Ireland. Peacebuilding, pp.1-15.

Leonisio, R., Molina Aparicio, F. and Muro, D. (2017). ETA's terrorist campaign: From violence to politics, 1968–2015. 1st ed. London: Routledge, pp.17-50.

Mahoney, C. (2018). End of the cycle: assessing ETA's strategies of terrorism. Small Wars & Insurgencies, 29(5-6), pp.916-940.

Martín-Peña, J. and Opotow, S. (2011). The legitimization of political violence: A case study of ETA in the Basque country. Peace and Conflict: Journal of Peace Psychology, 17(2), pp.132-150.

Murua, I. (2016). No more bullets for ETA: the loss of internal support as a key factor in the end of the Basque group's campaign. Critical Studies on Terrorism, 10(1), pp.93-114.

Patterson, H. (2014). Endgame for ETA Elusive Peace in the Basque Country. Democracy and Security, 10(4), pp.357-359.

Sullivan, J. (2015). ETA and Basque nationalism. Abingdon: Routledge, pp.1-113.

Tellidis, I. (2018). Peacebuilding Beyond Terrorism? Revisiting the Narratives of the Basque Conflict. Studies in Conflict & Terrorism, pp.1-19.

Whitfield, T. (2014). Endgame for ETA. 1st ed. Oxford: Oxford University Press, pp.5-25.

Whitfield, T. (2015). The Basque Conflict and ETA: The Difficulties of an Ending. Special Report. [online] Washington: The United States Institute of Peace, pp.1-16. Available at: cic.nyu.edu[Accessed 22 Oct. 2019].

Woodworth, P. (2001). Why Do They Kill? The Basque Conflict in Spain. World Policy Journal, [online] 18(1), pp.1-12. Available at: www.jstor.org.

Zulaika, J. and Murua, I. (2017). How terrorism ends – and does not end: The Basque case. Critical Studies on Terrorism, 10(2), pp.338-356.

დანართი 1.1

https://bit.ly/3bK0jZb

დანართი 1.2

https://bit.ly/3awd896